20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

10/07/2020 N 53

თბილისი

სს „მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმის“ (ს/ნ: 445504482) აქციების საჯარო შეთავაზების საბოლოო პროსპექტის დამტკიცებისა და ფასიანი ქაღალდებისთვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52–ე მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის მე–11 და მე-15 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 12 ოქტომბრის N226/04 ბრძანებით დამტკიცებული „საწარმოთა აქციებისა და ობლიგაციების ემისიის პროსპექტის და ფასიანი ქაღალდების ემისიისა და განთავსების შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის“ მე-3 მუხლის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის N73/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესის“ მე–3 მუხლის მე–3 პუნქტის, მე–4 მუხლის მე–7 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს სს „მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმის“ (ს/ნ: 445504482) აქციების საჯარო შეთავაზების საბოლოო პროსპექტი.

2. დამტკიცებული საჯარო შეთავაზების საბოლოო პროსპექტის რეგისტრაცია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სს „მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმის“ ფასიან ქაღალდებს მიენიჭოს შემდეგი საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი: GE 1100003932.

4. წინამდებარე განკარგულების გამოცემიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს სს „მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმს“ ფასიანი ქაღალდებისთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე.

5. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი №6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

კობა გვენეტაძე

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი